

ქ. თბილისი

01 თებერვალი 2016 წელი

ერთი მხრივ ქიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მიმწოდებლის გოგა მოდებამის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯეოსელი“ (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მიმწოდებლის კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორის მალხაზ ჟორჯიკაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის 20^ე მუხლის, „2016–2017 წლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვით კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის დეკემბრის N2583 განკარგულებისა და „ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის N18 ბრძანების საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების 2016–2017 წლებში კონსოლიდირებული ტენდერის (CON150000078) (შემდგომში - კონსოლიდირებული ტენდერი) შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ძირითადი პირობები

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის თანამშრომლებისა და არათანამშრომლების (დანართი N1-ის შესაბამისად) ნომრებზე (შემდგომში - სააბონენტო ნომრები) მობილური სატელეფონო მომსახურების (შემდგომში მომსახურება) გაწევა (CPV კოდი: 64212000) სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული CON150000078 სატენდერო დოკუმენტაციითა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული პირობებითა და ტარიფებით.
- 1.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების საფასური გადაიხდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 1.3. მიმწოდებელი შემსყიდველის სააბონენტო ნომრებზე ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით და ხელშეკრულების დანართი N2-ით (რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია) გათვალისწინებულ მომსახურებას.
- 1.4. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების დანართ N1-ში მითითებული ჯგუფების მიხედვით წარუდგინოს მიმწოდებელს სააბონენტო ნომრების სია, რომელთაც მიმწოდებელმა უნდა გაუწიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული თავისებურებები გათვალისწინებით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 400 (ოთხასი) ლარი.
- 2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- 2.3. სააბონენტო ნომრებიდან, საქართველოს ნებისმიერ საკომუნიკაციო ქსელის ან/და მომსახურების გამწვევი სატელეფონო ნომრებზე, რომლებზეც მიმწოდებლის ან/და მომსახურების გამწვევის მიერ დაწესებულია სპეციალური ტარიფი, ზარის განხორციელების შემთხვევაში, მათ შორის, ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო ოპერატორის ქსელი ტრანზიტით (მაგ. 10 07; 10 18 და ა.შ.), საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ზარის განხორციელებისას, არ იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარიფები.

3. თანამშრომლების ნომრების მომსახურებაზე ანგარიშსწორების წესი

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
- 3.2. მიმდინარე თვეს გაწეული მომსახურების დაანგარიშება და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველისთვის წარდგენა უნდა მოხდეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

შემსყიდველს, ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, უფლება აქვს მოდებლისაგან შეისყიდოს მომსახურება წინასწარი გადახდის (მაგ. წინასწარი გადახდის ბარათები) პირობით.

4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 4.1. მომსახურების გაწევის ადგილია საქართველო, ხოლო როუმინგის შემთხვევაში - შესაბამისი ქვეყანა.
- 4.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 01 თებერვლიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) მოითხოვოს მომსახურების შეჩერება ერთ ან რამოდენიმე სააბონენტო ნომერზე გარკვეული ვადით, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს;
- ბ) მოითხოვოს მომსახურების გაუქმება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს მიმწოდებელს 30 კალენდარული დღით ადრე;
- გ) მიმართოს წერილობითი განცხადებით/პრეტენზიით მიმწოდებელს სატელეფონო საუბრის გადასახადთან დაკავშირებით. პრეტენზია შეიძლება წარდგენილიქნეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. წერილობითი პრეტენზია უნდა წარედგინოს/მიეწოდოს მიმწოდებლის მომსახურების ოფისებში (რომლებიც მითითებულია სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში) მითითებული მისამართების მიხედვით. შემსყიდველის მიერ წარდგენილი განცხადება/პრეტენზია მიმწოდებლის მიერ განხილული იქნება მიმწოდებლის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით, შესაძლოა უმოკლეს ვადაში, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია წარდგენილ განცხადებაში/პრეტენზიაში ასახული ტექნიკური და ადმინისტრაციული მოთხოვნების სირთულეზე, მაგრამ არაუგვიანეს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადებისა.
- დ) მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმართოს 2016-2017 წლების ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში სატენდერო კომისია) ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) გადაიხადოს თანამშრომლების ნომრების მომსახურების საფასური წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და ტარიფების დაცვით;
- ბ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში სრულად დაფაროს მიმწოდებლის მიმართ არსებული დავალიანების ნაწილი, რომელიც აღიარებული იქნება შემსყიდველის მიერ.
- გ) ერთი კვირის განმავლობაში წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მოთხოვნებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- ა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველისათვის უმჯობესდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები, შეცვალოს ანგარიშსწორების ტარიფები, რის შესახებაც არანაკლებ 10 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობებს შემსყიდველს;
- ბ) მომსახურების საფუძველზე წარმოშობილი დავალიანების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას გადაუხადებლობის შემთხვევაში, საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლო კალენდარულ დღეს დავალიანების მქონე სააბონენტო ნომერს (ნომრებს) შეუზღუდოს (გათიშოს ნომერი) მომსახურების მიწოდება და 45 კალენდარული დღის განმავლობაში შეზღუდვის საფუძვლის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, გამოიყენოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის მე-14 მუხლს და ამოიღოს წარმოშობილი დავალიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. შემსყიდველის მიერ მის ბალანსზე არსებულ სააბონენტო ნომრებზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის, 112-ის მომსახურების საფასურის არ გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია სააბონენტო ნომერს (ნომრებს) შეუზღუდოს მომსახურების მიწოდება;
- გ) ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით მიმართოს სატენდერო კომისიას იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს წინასწარი შეთანხმების გარეშე შემსყიდველი, თავისი ეკონომიკური საქმიანობისგან ხორციელებისას ან მის გარეშე მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირისათვის სასყიდლოდ (მოგების მიღების მიზნით).

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) აღმოფხვრას მომსახურებაში არსებული შეფერხებები, მათ შორის სატენდერო კომისიის შესაბამისი მითითებების საფუძველზე, და აღადგინოს ქსელის ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირება გონივრულ ვადებში, ტექნიკური შესაძლებლობების და მის ხელთარსებული რესურსების ფარგლებში, მაგრამ არაუგვიანეს მიზეზის წარმოშობიდან საათის განმავლობაში ან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს შემსყიდველს ამომწურავი ინფორმაცია ტარიფების, ანგარიშსწორების წესის, შემსყიდველისათვის საჭირო სხვა საკითხების (რომელიც მიმწოდებლის მიერ გასაწევ მომსახურებას შეეხება) შესახებ;
- დაიცვას მომსახურებაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური ნორმები;
- დ) მომსახურება მიაწოდოს დღე-ღამის 24 საათის განმავლობაში (ამასთან ერთიანი უწყვეტი ჯარის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს 30 წუთს), უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და, რომელიც შეესაბამება კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ ტექნიკურ ნორმებს, სტანდარტებს და ოპერატორის ლიცენზიის პირობებს. რადიოტალღების ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, რადიოსიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლოა გაუარესდეს, განსაკუთრებით შენობებში, გვირაბებში, ან სხვა მიწისქვეშა ნაგებობებში ან მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური ან სხვაგვარი თავისებურებიდან გამომდინარე;
- ე) 1.4 პუნქტის შესაბამისად ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა დაიწყოს მომსახურების მიწოდება (ქსელში ჩართვა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად;
- ვ) მომსახურების მიწოდების შეფერხების, მიუწოდებლობის, უხარისხოდ მიწოდების ან 5.4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, გადაუხადოს შემსყიდველს კომპენსაცია უკანასკნელ საანგარიშო პერიოდში შემსყიდველის მიერ 1 საათის განმავლობაში საშუალოდ ფაქტიურად მიღებული მომსახურების საფასურის 1 პროცენტით ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ საათზე 5.4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდგომ.
- 5.5. როუმინგული მომსახურების მიღებისას, მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია როუმინგ-პარტნიორი ოპერატორების ქსელის შესაძლებლობებზე და ოპერატორი ვერ იქნება პასუხისმგებელი მომსახურების ხარისხზე და უწყვეტობაზე. ბალანსის/ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, თუ შემსყიდველს არ შეეზღუდა მომსახურების მიწოდება, შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფასური საქართველოს სასაზღვრო ზოლის სიახლოვეს ყოფნისას შემსყიდველის ტერმინალურმა მოწყობილობამ შესაძლო ავტომატურად ისარგებლოს (იმ შემთხვევაში, თუ სააბონენტო ნომერს ჩართული აქვს როუმინგული მომსახურება) უცხო ქვეყნის ოპერატორის მომსახურებით, რაც ასევე ითვლება როუმინგულ მომსახურებად და დაერიცხება შესაბამის საფასურში.
- 5.6. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ნომრების/სიმ-ბარათების გამოყენებისას კომუნიკაციების სფეროსათვის დამახასიათებელი არაკეთილსინდისიერი ქმედების დაფიქსირების შემთხვევაში, მიიღებენ ყველა ზომას აღნიშნული ქმედების დროულად აღსაკვეთად. არაკეთილსინდისიერი ქმედების დროულად აღსაკვეთად მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდოს სააბონენტო ნომერს მომსახურების მიწოდება, რითაობაზეც აცნობებს შემსყიდველს.

6. ხელშეკრულების პირობების შესრულებლობა

- 6.1. გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრ ვალდებულებების შესრულებლობის ან/და არაჯეროვანად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.
- 6.2. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში შემსყიდველი წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმ თანხის გადახდა, ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) მობილური სატელეფონო მომსახურების საორიენტაციო ღირებულების 5% ოდენობით.
- 6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ანგარიშსწორების ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარე ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულდღეზე შესრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ით ოდენობით.
- 6.4. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობებზე გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 7.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ერთი მხარის მიერ მეორისგან მიღებული საქმიანობასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ითვლება მკაცრად კონფიდენციალურად ამ შეთანხმების მოქმედების ვადის განმავლობაში. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზონისათვის, რომ არ დაუშვან მესამე პირებთან მიღებული ინფორმაციის გახმაურება.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სატენდერო კომისიას ან სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენის ადნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტში მითითებული დაუძლეველი ძალის არსებობა უნდა დადასტურდეს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

9.3. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს მომსახურების შეფერხებაზე ან შეწყვეტაზე, თუ ეს გამოწვეულია შემსყიდველის მიერ ისეთი სააბონენტო მოწყობილობის გამოყენებით, რომელიც არ შეესაბამება ასეთი მოწყობილობებისათვის დადგენილ ტექნიკურ ნორმებს.

9.4. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიისთანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 01 მარტამდე.

10.2. მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გაუქმებულად ჩაითვლება მათ შორის არსებული ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია მობილურ სატელეფონო მომსახურების მიწოდებასთან.

შემსყიდველი:

ქიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ
ეწერის საჯარო სკოლა
მის.: ქ. ქიათურა, სოფელი ეწერი
ს/კ 215606422
ლიბერთი ბანკი
კოდი: LBERTG22
ა/ნ GE85LB0121181956526000

დირექტორი
გოგა მოდებაძე



მიმწოდებელი:

შპს „ჯეოსელი“
მის.: ქ. თბილისი, გოთუას ქ. #3
საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940
ს/ს „ვითიბი ბანკი“
კოდი: UGEBGE22
ანგ. # GE64VT6600000444467944

კორპორაციული ბიზნეს ერთეულის დირექტორი
მალხაზ ჟორჯიკაშვილი

